სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

განათლების კვლევები და ადმინისტრირება

თბილისი, 2026 წელი

EAST EUROPEAN UNIVERSITY

განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: განათლების კვლევები და ადმინისტრირება/ Educational Research and Administration

უმაღლესი განათლების საფეხური: მაგისტრატურა

ფაკულტეტი: განათლების მეცნიერებები

სწავლების ენა: ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები:

ქეთევან აფთარაშვილი, განათლების მეცნიერებების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ტელ.: 577022002, ელ. მისამართი: K.aptarashvili@eeu.edu.ge

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

- განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პირველი, 60-კრედიტიანი (ECTS) ნაწილის წარმატებით დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია - განათლების მეცნიერების მაგისტრი/ Master of Education Science
- განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სრული, 120-კრედიტიანი (ECTS) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია - კვლევის მაგისტრი განათლების მეცნიერებაში/ Research Master in Education Science

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების 120-კრედიტიან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან

მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც წარმატებით ჩააბარებს საერთო სამაგისტრო გამოცდას და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებს.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებს მაგისტრანტობის ის კანდიდატი, რომელიც გადალახავს საერთო სამაგისტრო გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარს.

მაგისტრანტობის კანდიდატი აბარებს შიდასაუნივერსიტეტო წერით გამოცდას (ტესტირებას) ინგლისურ ენაში, ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონის ცოდნის დადასტურების მიზნით და ზეპირ გამოცდას (გასაუბრებას) სპეციალობაში.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საკითხები/ტესტები და სტუდენტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოცდების დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე (http://eeu.edu.ge)

საერთო სამაგისტრო გამოცდისა და საუნივერსიტეტო გამოცდების შედეგების საფუძველზე გამოვლინდება მაგისტრანტობის ის კანდიდატი, რომელიც უფლებამოსილია სწავლა განაგრძოს განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პირველი 60-კრედიტიანი ნაწილის ფარგლებში.

განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების 120-კრედიტიანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პირველ, 60-კრედიტიან ნაწილზე ჩარიცხულ პირს, აღნიშნული ნაწილის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, უფლება აქვს სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე სწავლა გააგრძელოს იმავე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მეორე 60-კრედიტიან ნაწილზე, თუ პროგრამის პირველ ნაწილზე ჩარიცხვიდან არ არის გასული 5 წელი. აღნიშნული ვადის გასვლის შემთხვევაში, განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების 120-კრედიტიანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მეორე 60-კრედიტიან ნაწილზე ჩარიცხვისათვის პირი ვალდებულია ჩააბაროს სამაგისტრო გამოცდა.

EAST EUROPEAN UNIVERSITY

განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

პირის ჩარიცხვა, რომელმაც სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დაასრულა განათლების მეცნიერების მიმართულებით არანაკლებ 120-კრედიტიანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პირველი 60-კრედიტიანი ნაწილი და მოიპოვა განათლების მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხი, წინამდებარე პროგრამის მეორე 60-კრედიტიან ნაწილზე შესაძლებელია მხოლოდ სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში.

განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე პირი შეიძლება ჩაირიცხოს მობილობის წესით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი მაგისტრანტი უნდა აკმაყოფილებდეს საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობებს.

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე დასაშვებია სწავლის გაგრძელება საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 52[1] მუხლის მე-7 და მე-7[1] პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

შენიშვნა: მაგისტრანტობის კანდიდატი თავისუფლდება ინგლისური ენის შიდასაუნივერსიტეტო გამოცდისაგან, თუ წარმოადგენს ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს (Cambridge ESOL Exams: IELTS - 5.5 – 6.5; FCE - 161 -180; BEC Vantage – at least Grade C; ILEC – Pass with B2; BULATS – 65-69; TOEIC – 715-795; TOEFL Paper - 513 – 547; TOEFL CBT - 183 – 210; TOEFL IBT - 65 – 78) ან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემულ შესაბამის ვალიდურ სერტიფიკატს (CERTUS - 72 -88,25) ან ბოლო 2 წლის განმავლობაში ინგლისურენოვანი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის (საბაკალავრო, სამაგისტრო და სხვა) დასრულების დამადასტურებელ დიპლომს.

პროგრამის მიზანი:

განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

- მოამზადოს მაღალკონკურენტუნარიანი, მრავალფუნქციური სპეციალისტები, რომლებსაც შეუძლიათ მოქმედება სხვადასხვა საფეხურის საგანმანათლებლო დაწესებულებაში და ახასიათებთ: ღრმა, სისტემური, კონცეპტუალური და ინსტრუმენტული ცოდნა განათლების ნებისმიერ

საფეხურის (სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული, უმაღლესი) კვლევისა და ადმინისტრირების შესახებ;

- შესძინოს სტუდენტს ღრმა და სისტემური ცოდნა განათლების სისტემების, ორგანიზაციული ლიდერობის, განათლების სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკის, საჯარო პოლიტიკისა და განათლების თეორიის ელემენტების, კურიკულუმების შემუშავების, განვითარების და სწავლა-სწავლების სტრატეგიების, სტრატეგიული მართვის, განათლების სამართლებრივი ჩარჩოების, განათლების დაფინანსებისა და რესურსების განაწილების ძირითადი პრინციპების შესახებ.
- გამოუმუშავოს სტუდენტს ინფორმაციული წიგნიერების, კრიტიკული აზროვნების, მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების, ტექნოლოგიის ინტეგრაციის, სწავლისა და სამეცნიერო კვლევი დამოუკიდებლად წარმართვისა და ტრანსფორმაციული საგანმანათლებლო ლიდერის პრაქტიკული უნარ-ჩვევები;
- გამოუმუშავოს სტუდენტს განათლების სფეროში საკუთარი და გუნდის წევრთა უწყვეტი განათლებისა და სოციალური მობილობის, ასევე, სამუშაო გარემოს მართვისთვის აუცილებელი აკადემიურ და პროფესიულ კეთილსინდისიერებაზე დაფუძნებული პასუხისმგებლობა.

პროგრამის სტრუქტურა:

განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო სასწავლო პროგრამა შემუშავებულია „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ შესაბამისად.

განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პირველი, 60-კრედიტიანი (ECTS) ნაწილი შედგება მხოლოდ სასწავლო კომპონენტისგან და მოიცავს:

- პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებს – 45 ECTS;
- პროგრამის არჩევით სასწავლო კურსებს – 5 ECTS;

- რეფლექსიური პრაქტიკას – 10 ECTS.

რეფლექსიური პრაქტიკა (10 ECTS) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აუცილებელი კომპონენტია. მისი მიზანია, სტუდენტის პრაქტიკული უნარების განვითარება. რეფლექსიური პრაქტიკის ფარგლებში სტუდენტი თავად გეგმავს და ახორციელებს პრაქტიკულ აქტივობებს პრაქტიკის ხელმძღვანელთან შეთანხმებით და მისი მეთვალყურეობით. რეფლექსიური პრაქტიკას სტუდენტი გადის შესაბამისი პროფილის პარტნიორ ორგანიზაციებში.

განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მეორე, 60-კრედიტიანი (ECTS) ნაწილი შედგება სასწავლო (30 ECTS) და კვლევითი (30 ECTS) კომპონენტებისგან.

განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მეორე, 60-კრედიტიანი (ECTS) ნაწილის სასწავლო კომპონენტი მოიცავს:

- პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებს – 18 ECTS;
- პროგრამის არჩევით სასწავლო კურსებს – 12 ECTSs

განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (30 ECTS) წარმოდგენილია სამაგისტრო ნაშრომის სახით.

EAST EUROPEAN UNIVERSITY

განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

დანართი 1. განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პირველი 60-კრედიტიანი ნაწილის სასწავლო გეგმა

№	სასწავლო კურსის/მოდულის დასახელება	სასწავლო კურსის კოდი	ECTS კრედიტი /საათი	სტუდენტის სასწავლო დატვირთვა		დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი
				საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები		
I. საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსები და პრაქტიკული კომპონენტები (55 ECTS)							
1.1. თეორიული კომპონენტი (45 ECTS)							
1	სტრატეგიული მენეჯმენტი	MEA0001	5/125	47	78	არ გააჩნია	1
2	განათლების ხარისხის მართვა	MEA0002	5/125	34	91	არ გააჩნია	1
3	განათლების ფსიქოლოგია	MEA0003	5/125	34	91	არ გააჩნია	1
4	განათლების სისტემები	MEA0004	5/125	34	91	არ გააჩნია	1
5	განათლების სამართალი	MEA0005	5/125	34	91	არ გააჩნია	1
6	განათლების ეკონომიკა და პოლიტიკა	MEA0006	5/125	48	77	არ გააჩნია	1
7	ფინანსები და განათლება	MEA0007	5/125	34	91	არ გააჩნია	2
8	განათლების მენეჯმენტი და ლიდერობა	MEA0008	5/125	48	77	არ გააჩნია	2
9	კურიკულუმის განვითარება	MEA0009	5/125	34	91	არ გააჩნია	2
1.2. პრაქტიკული კომპონენტი (10 ECTS)							
1	რეფლექსიური პრაქტიკა	MEA0010	10/250	169	81	სავალდებულო 30 ECTS	2
1.1. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსები/კომპონენტები (5 ECTS)							
1	ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა	MEA0011	5/125	47	78	არ გააჩნია	2

2	მრავალფეროვნების მართვა განათლებაში	MEA0012	5/125	34	91	არ გააჩნია	2
3	შედარებითი განათლება	MEA0013	5/125	34	91	არ გააჩნია	2
4	ხელოვნური ინტელექტი განათლებაში	MEA0014	5/125	34	91	არ გააჩნია	2

დანართი 2. განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მეორე 60-კრედიტიანი ნაწილის სასწავლო გეგმა

№	სასწავლო კურსის/მოდულის დასახელება	სასწავლო კურსის კოდი	ECTS კრედიტი /საათი	სტუდენტის სასწავლო დატვირთვა		დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი
				საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები		
I. სასწავლო კომპონენტი (30 ECTS)							
1.1. საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსები/კომპონენტები (18 ECTS)							
1	აკადემიური წერა განათლების კვლევებში	MEA0015	6/150	48	102	არ გააჩნია	3
2	კვლევის მეთოდები განათლებაში	MEA0016	6/150	48	102	არ გააჩნია	3
3	განათლების სოციოლოგია	MEA0017	6/150	34	116	არ გააჩნია	3
1.2. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსები/კომპონენტები (12 ECTS)							
1	შეფასება განათლებაში	MEA0018	6/150	34	116	არ გააჩნია	3
2	სტატისტიკურ მონაცემთა ანალიზი განათლებაში (SPSS)	MEA0017	6/150	34	116	არ გააჩნია	3
3	თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიები	MEA0020	6/150	34	116	არ გააჩნია	3
4	სტრატეგიული მარკეტინგი	MEA0021	6/150	47	103	არ გააჩნია	3
5	განათლების ფილოსოფია	MEA0022	6/150	34	116	არ გააჩნია	3
6	ინკლუზიური განათლება	MEA0023	6/150	34	116	არ გააჩნია	3

7	კეთილდღეობა და პირადი უსაფრთხოება განათლებაში	MEA0024	6/150	34	116	არ გააჩნია	3
II. კვლევითი კომპონენტი (30 ECTS)							
1	სამაგისტრო ნაშრომი	MEA0025	30/750	31	719	80 ECTS	4

დანართი 3. პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი

სახელი, გვარი	აკადემიური ხარისხი, პოზიცია	სასწავლო კურსი
შალვა მაჭავარიანი	პროფესორი	• სტრატეგიული მენეჯმენტი
ზვიად როგავა	პროფესორი	• კურიკულუმის განვითარება
დავით ბოსტოღანაშვილი	პროფესორი	• განათლების ხარისხის მართვა • განათლების სამართალი
დავით ჩერქეზიშვილი	პროფესორი	• განათლების მენეჯმენტი და ლიდერობა
კახაბერ ლაზარაშვილი	პროფესორი	• კეთილდღეობა და პირადი უსაფრთხოება

EAST EUROPEAN UNIVERSITY

განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

		განათლებაში
იან ბოემი	პროფესორი	• თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიები • შედარებითი განათლება
პოლ გიბსი	პროფესორი	• შედარებითი განათლება
ავთანდილ გაგნიძე	პროფესორი	• განათლების ეკონომიკა და პოლიტიკა • ხელოვნური ინტელექტი განათლებაში • სტატისტიკურ მონაცემთა ანალიზი განათლებაში (SPSS)
მიხეილ თოქმაზიშვილი	პროფესორი	• განათლების ეკონომიკა და პოლიტიკა
ლილი ბიბილაშვილი	პროფესორი	• ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა
დავით სიხარულიძე	პროფესორი	• კვლევის მეთოდები განათლებაში • სტატისტიკურ მონაცემთა ანალიზი განათლებაში (SPSS)
მანანა გაგოშიძე	ასოცირებული პროფესორი	• განათლების ფილოსოფია
ირმა ბარბაქაძე	პროფესორი	• განათლების სისტემები
შალვა ტაბატაძე	პროფესორი	• მრავალფეროვნების მართვა განათლებაში

ქეთევან აფთარაშვილი	განათლების მეცნიერებების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი	• აკადემიური წერა განათლების კვლევებში • განათლების მენეჯმენტი და ლიდერობა • კურიკულუმის განვითარება • განათლების ხარისხის მართვა
ეკატერინე გიგაშვილი	ასოცირებული პროფესორი	• ინკლუზიური განათლება
ნინო სოზაშვილი	ასოცირებული პროფესორი	• განათლების სოციოლოგია • განათლების სისტემები
ნანა გოგიჩაშვილი	ასოცირებული პროფესორი	• განათლების ფსიქოლოგია
ზურაბ მხეიძე	ასოცირებული პროფესორი	• განათლების ფსიქოლოგია
ნინო შოშიტაიშვილი	ასოცირებული პროფესორი	• სტრატეგიული მარკეტინგი
გივი დუჩიძე	ასოცირებული პროფესორი	• სტრატეგიული მენეჯმენტი
ეკა ლუაშვილი	ასისტენტ-პროფესორი	• განათლების სამართალი
სერგო დურგლიშვილი	ასოცირებული პროფესორი	• ფინანსები და განათლება • რეფლექსიური პრაქტიკა

ნათია გეგელაშვილი	ასისტენტ-პროფესორი	• კვლევის მეთოდები განათლებაში • განათლების სისტემები • განათლების სოციოლოგია
ტარიელ ელაშვილი	ასისტენტ-პროფესორი	• სტრატეგიული მენეჯმენტი
გიორგი თათანაშვილი	ასისტენტ-პროფესორი	• ხელოვნური ინტელექტი განათლებაში
ლაშა მარგიშვილი	მოწვეული ლექტორი	• განათლების ხარისხის მართვა
კახა ჟღენტი	მოწვეული ლექტორი	• შეფასება განათლებაში
ციური დურული	მოწვეული ლექტორი	• განათლების ეკონომიკა და პოლიტიკა
ზაქარია ქიტიაშვილი	მოწვეული ლექტორი	• განათლების სამართალი